დანართი №1

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურმა 2022 წლის დასაწყისიდან დღემდე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელა სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისი პროცედურები. წლის დასაწყისიდანვე ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების გათვალისწინებით დამტკიცებული იქნა შესყიდვების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს წლის განმავლობაში 8625652 ლარის შესყიდვებს. დღეის მდგომარეობით შესაბამისი პროცედურების დაცვით, ბაზრის კვლევის შედეგად დადგენილი ფასების გათვალისწინებით გამოცხადებული იქნა 51 ელექტრონული ტენდერი, მათგან დასრულებული და ხელშეკრულება გაფორმებულია 40 მომწოდებელთან. არ შედგა 6 ტენდერი. მათ შორის დანდალოს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი, რაშიც არ გამოვლინდა გამარჯვებული. არ შემდგარი ტენდერები გამოცხადდა განმეორებით და დასრულდა დადებითად. შეწყდა 1 ტენდერი სააგენტოს ბრძანებით სისტემაში გამოვლენილი ხარვეზების გამო. კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით დაიდო 30 ხელშეკრულება, მათ შორის საწვავის, კომპიუტერული ტექნიკის მოწოდების თაობაზე. გამარტივებული შესყიდვის გზით დაიდო 21 ხელშეკრულება, მათ შორის 5 ათასამდე ღირებულების შესყიდვებზე, დაცვის სამსახურთან ექსკლუზიური უფლებით. სახელმწიფო შესყიდვებზე დადებული ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე განსახორციელებელ შესყიდვებზე. მიმდინარე წელში ინფრასტრუქტურის კუთხით განსახორციელებელი პროექტებისათვის გამოყოფილი ხარჯები შეადგენს 6078690 ლარს. მათგან დღეისათვის 3315678 ლარზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და

მიმდინარეობს მუშაობა. გამოცხადებული და დასრულებული ტენდერების შედეგად მიღებული იქნა ეკონომია 361636 ლარი.

სამსახურის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი ხარჯებით და სოფლებში მოსახლეობის შეხვედრების დროს მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით შედგენილი იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის, კერძოდ მზა ბეტონის შესყიდვისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება 355000 ლარზე და მიმდინარეობს მოწოდება. გამოცხადებულია ტენდერები გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე 340942 ლარზე, რაც დასრულდება უახლოეს დღეებში.

სამსახურის მიერ გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული მუნიციპალური ქონების მართვის კუთხით. კერძოდ სამსახურის სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ქონების ინვენტარიზაცია და შედგენილი იქნა შესაბამისი აქტები. კომისიის მიერ გამოვლენილი იქნა 460 ერთეული ჩამოსაწერი მცირეფასიანი ინვენტარი და ელექტრონული ტექნიკა.

ასევე, 2022 წლისათვის შედგენილი და საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი იქნა საპრივატიზაციო ქონების ნუსხა 14 ერთეულზე, მათ შორის 4 ერთეული მიწის ნაკვეთი, 4 ერთეული შენობის ფართი და 6 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა.

წლის დასაწყისიდან გაფორმდა ხელშეკრულებები ქონების აუდიტორული შეფასებების და ტექნიკური ნახაზების მომზადების თაობაზე ორ კომპანიასთან. დღეის მდგომარეობით მომზადებულია 19 ერთეული აზომვითი ნახაზი, დარეგისტრირდა 8 ერთეული ქონება. აუდიტორის მიერ შეფასებული იქნა 9 ერთეული ქონება.

სამსახურში წლის დასაწყისიდან დღემდე შემოსულია 471 წერილობითი დოკუმენტი განცხადებებისა და კორესპოდენციების სახით, რომელთაგან განხილული და პასუხგაცემულია 458 დოკუმენტი. სამსახურის მიერ გარემოს დაცვის, სტატისტიკური ინფორმაციის, ქონების მართვისა და სხვა საკითხებზე

მომზადებულია და სხვადასხვა უწყებებში გაგზავნილია 31 წერილობითი დოკუმენტი.

ეკონომიკური განვითარების სამსახურში დასაქმებული 3 უფროსი სპეციალისტი და განყოფილების უფროსები სამსახურეობრივი უფლებამოვალეობების შესრულებასთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ მერის ბრძანებით შექმნილ მუდმივმოქმედ კომისიებში როგორიცაა ქონების ინვენტარიზაციის, სატენდერო, მაღალმთიანი სტატუსის მართვის, ტექნიკურ საბჭოსა და სხვა კომისიებში.